კლიმატის ცვლილება, ეკოტურიზმი და გარემო

მამუკა გოგელია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
E-mails: mamukagogelia@yahoo.com; m.gogelia@bsu.edu.ge

თორნიკე ტაბატაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ბაკალავრი
E-mail: tabatadzetoka@mail.ru

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კლიმატის მრავალფეროვნება, რომელიც თავის მხრივ წარმოებულია ეკოსისტემის სხვადასხვა ბიომრავალფეროვნებით, რომელთა უმრავლესობა გვთავაზობს რესურსებს ტურიზმის განვითარებისათვის. ეკო-სისტემათა უმრავლესობა ეყრდნობა კლიმატური პირობების თანმიმდევრულობას და როგორც განმარტავენ, დედამიწის ბიომრავალფეროვნების მკურნალობა შეიცავს ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვას და ეს წარმოადგენს სწორედ კლიმატის ცვლილების ძირითად საზრუნავს.

ნაშრომში ასევე განხილულია ეკოტურიზმის განვითარება, რომელიც ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. თურიზმი ყოველთვის განვიტარებულია ისეთ რეგიონებში სადაც სუფთა ეკოლოგიური გარემოა, თუ კონკრეტულ გტერიტორიაზე საქმე გვაქვს ტყის გაჩეხვასთან მდინარეების დაბინძურებასთან იქმნება ტურიზმისათვის არახელსაყრელი გარემო, ამ ყველაფერზე სრულ ინფორმაციას იძლევა შესაბამისი სპეციალისტები და აუცილებელია მათი რჩევების გათვალისწინება.

სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პლანეტის ყველა მოქალაქე მოიტხოვდეს გარემოს დაცვისთვის, ეკოლოგიური განვითარების ისეთი ღონისძიების გატარებას რომლების დაიცავს მათ ჯანმრთელობას, არ დაზიანებს გარემოს და გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების პირობებს.

შესავალი

დედამიწის კლიმატის მრავალფეროვნება თავის მხრივ წარმოებულია ეკოსისტემის სხვადასხვა ბიომრავალფეროვნებით, რომელთა უმრავლესობა გვთავაზობს რესურსებს ტურიზმის განვითარებისათვის. ეკო-სისტემათა უმრავლესობა ეყრდნობა კლიმატური პირობების თანმიმდევრულობას და როგორც განმარტავენ, დედამიწის ბიომრავალფეროვნების მკურნალობა შეიცავს ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვას და ეს წარმოადგენს სწორედ კლიმატის ცვლილების ძირითად საზრუნავს.

აუცილებელია განვასხვავოთ ერთმანეთისგან ტერმინები „ამინდი და კლიმატი“ ამინდი ეს არის ის, რაც შეიძლება შეიცვალოს ყოველდღიურად, ხოლო კლიმატი განისაზღვრება, როგორც ამინდის პირობების კომბინაცია განსაკუთრებულ ადგილზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჩვეულებრივ მინიმუმ 30 წელი. ასევე არსებობს კლიმატის ხანგრძლივი დროის განზომილება, რომელიც მოიცავს ამინდის პირობების მონიტორინგს.

ბუნებრივი გარემო და ტურიზმის ინდუსტრია დიდ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. გარემოზე ტურიზმის ნეგატიური ზემოქმედება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ სათანადოდ ვერ ფასდებოდა, დღეს სულ უფრო გაძლიერებული ყურადღების ქვეშ ექცევა, სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები საერთაშორისო ბუნების დაცვითი ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული ზემოქმედების ნეგატიურ გავლენებს. ასეთი ზემოქმედებები მრავალრიცხოვანი და განსხვავებულია მაგ: ბუნების ობიექტთა დაჭუჭყიანება, ბუნებრივი რესურსების არარაციონალური მოხმარება, განაშენიანებისათვის მიწების გამოყენება, ბუნებრივი ლანდშაფტების დეგრადაცია, საფრთხეები ველური ბუნებისათვის და საცხოვრებელი გარემოსათვის განუსაზღვრელია. დიდ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენური დაჭუჭყიანება - პოლიეთილენის პარკებითა და ქილებით, ნავთობპროდუქტებითა და ნიადაგში გაუხსნელი არაორგანული ნივთიერებებით. ბოლო დროს ბუნების დანაგვიანება სულ უფრო მაშტაბურ ხასიათს იღებს. სიტუაცია არ იცვლება მიუხედავად იმი-

სა, რომ სახელმწიფო ორგანოებისაგან ერთჯერადი დასუფთავების აქციების ორგანიზება ხდება. სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც რომ რეგიონში არ არსებობს თანამედროვე ნაგავსაყრელები და ნაგავგადამამუშავებელი საწარმოები.

დანაგვიანება გაჭუჭყიანების პარალელურად თავს იჩენს ახალი პრობლემა, ესაა ბუნებრივი გარემოს კომპონენტების ცვლილება, ეს განსაკუთრებულად და მკაფიოდ ვლინდება დასვენების აქტიურ ზონებში როგორებიცაა ეროვნული პარკები, ნაკრძალები, რეკრეაციული ზონები. ხდება ნარგავების დაზიანება ვიზიტორების მხრიდან რაც იწვევს მათი საარსებო არეალის შემცირებას და ხშირ შემთხვევაში ჩანაცვლებას სხვა სახეობის მცენარით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის უდიდეს პრობლემად გვევლინება დიდი რაოდენობის ტყვიით გაჯერებული ჰაერი, რომელიც ბენზინის წვის შედეგად გამოიფრქვევა გარემოში, აღნიშნული პრობლემა საქართველოშიც აქტიურად დგას რადგანაც ძირითადი დამბინძურებელი საქართველოში სწორედ ტრანსპორტია.

რეკრეაციულ რაიონებში სტუმართმოყვარეობის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად ვითარდება ტურისტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაც (სასტუმრო კომპლექსები, ნავსადგურები სპორტული იახტებისათვის,) აღნიშნული მშენებლობებიც გარკვეულ ნეგატიურ გავლენას ახდენენ გარემოზე. შავიზღვისპირეთში აუთვისებელი სანაპირო ზოლი თითქმის აღარ დარჩა უმთავრესად პრივატიზაციისა და ტურისტული მომსახურებისათვის განკუთვნილი სამშენებლო ფართობების გამოყოფის გამო. სანაპირო ზოლის ძველ მოხაზულობაში ჩნდება ახალ-ახალი სამშენებლო სილუეტები - იახტკლუბების, მცირე ზომის მცურავი საშუალებების ნავმისადგომების სახით ქალაქ ბათუმში, ქობულეთში, ურეკში, ფოთსა და ანაკლიაში.

გარემოზე ტურიზმის უარყოფითი გავლენა ნათელი და რეალურია, მაგრამ მას ამასთანავე შესწევს უნარი დადებითადაც იმოქმედოს გარემოზე და ხელი შეუწყოს ბუნებრივი გარემოს დაცვას და მის მდგრად განვითარებას, ასევე აამაღლოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და უზრუნველყოს ხანგრძლივი კეთილდღეობა.

ხოლო რაც შეეხება ეკოტურიზმს მისი უდიდესი დადებითი მხარე არის ის, რომ არ აზიანებს გარემოს და მისი დაზიანების ალბათობაც მინიმუმამდე დაჰყავს, ეხმარება რეგიონსა და ადგილობრივ მოსახლეობას ეკონომიკურ გაძლიერებაში. ტურიზმის ეს სახეობა განკუთვნილია ადამიანებისათვის რომელთაც სურთ მეტი ინფორმაცია მიიღონ ადგილობრივი ეკოსისტემების შესახებ. ხშირად აღინიშნება რომ ეკოტურიზმი ტურიზმის განსაკუთრებული ფენომენია, TIES (The International Turizm Society) მონაცემებით ეკოტურიზმის საერთო წილი ტურისტულ ბაზარზე 10% -ზე მეტია. TIES ის ექსპერტების შეფასებით მომდევნო 6 წელიწადში ეკოტურიზმი შეძლებს ბაზრის 25% დაიკავოს. ამასთანავე ასეთი ტურიზმის ბრუნვა შეადგენს 473,6 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს. გარდა ამისა UNWTO-ს მიერ გაკეთებული ტურისტული მიმართულების განვითარების პროგნოზში აღნიშნულია, რომ 2020 წლისათვის ეკოტურიზმი იქნება ყველაზე პოპულარული სახე.

ეკოტურიზმის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ტურიზმი ყოველთვის განვითარებულია ისეთ რეგიონებში სადაც სუფთა ეკოლოგიური გარემოა, თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე საქმე გვაქვს ტყის გაჩეხვასთან მდინარეების დაბინძურებასთან იქმნება ტურიზმისთვის არახელსაყრელი გარემო, ამ ყველაფერზე სრულ ინფორმაციას იძლევა შესაბამისი სპეციალისტები და აუცილებელია მათი რჩევების გათვალისწინება.

დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობა მთელი აუცილებლობით აყენებს საგანმანათლებლო ორგანოების წინაშე მოთხოვნებს რათა მათ უზრუნველყონ მომავალი თაობის ინფორმირებულობა და მიაწოდონ ძირეული განათლება საბუნებისმეტყველო მიმართულებებში.

საქართველოს მართლაც გააჩნია მრავალფეროვანი ბუნება, თუმცა ეკოტურიზმის განვითარებას ჩვენი აზრით აბრკოლებს შემდეგი მიზეზები:

- ეკოტურიზმის ბაზრის შესახებ არასაკმარისი საინფორმაციო ბაზა, რაც ხელს უშლის ანალიზური პროცესების განხორციელებას;
- ეკოტურიზმის განვითარების პროგრამის არარსებობა ქვეყნის მაშტაბით, შესაბამისად ერთიანი სტრატეგიული კონცეფციის არ არსებობა;
- ბუნებრივი ტერიტორიული დაცვის სუსტი კონტროლი და მონიტორინგის არ არსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა ბუნებრივი რესურსების სრულ დაცვას;
- საქართველოში არსებული არასაკმარისად განვითარებული საკანონმდებლო ბაზა, განსაკუთრებით საგადასახადო პოლიტიკის სფეროში;
- სარეკლამო-საინფორმაციო მასალების დაბალი ხარისხი, ან უქონლობა
- ეკოტურისტული პროდუქტის მომხმარებლისათვის ტურისტული მარშუტებისა და პროგრამების უქონლობა;
- დარგზე ორიენტირებული რეგიონული სპეციალიზებული სტრუქტურების არ არსებობა;

- ქვეყანაში დაბინავების, კვებისა და სატრანსპორტო მომსახურების მაღალი ფასები;
- არაკვალიფიციური კადრების არსებობა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში.

არსებული პრობლემების გადაჭრისათვის ვფიქრობთ რომ მიზანშეწონილია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- ეკოტურიზმის სფეროში მონაცემთა ბაზების ფორმირება, აგრეთვე ტურისტული რესურსების კადასტრების შექმნა;
- ეკოტურიზმის სფეროში მუნიციპალური გაერთიანებების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს პრობლემების გადაჭრა ერთობლივი ძალებით;
- საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ქართული ეკოტურისტული პროდუქტის წინ წაწევისათვის პერსონალის გადამზადება მარკეტინგის სფეროში;
- ეკოტურისტულ სექტორში მარკეტინგული კვლევების ჩატარება;
- სარეკლამო საინფორმაციო მასალების დამზადება და საერტაშორის ბაზარზე გასვლისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება.

საქართველოში მოქმედი მთელი რიგი საერთაშორისო და ეროვნული სააგენტოები ახორციელებენ სხვადასხვა მასშტაბის ინიციატივებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მიმდინარე მცდელობები არ არის საკმარისი არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას რომ პლანეტის ყველა მოქალაქე მოითხოვდეს გარემოს დაცვისათვის, ეკოლოგიური განვითარების ისეთი ღონისძიებების გატარებას რომლებიც დაიცავს მათ ჯანმრთელობას, არ დააზიანებს გარემოს და გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების პირობებს.

დასკვნა

გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება საკამათო თემად იქცა როგორც სამეცნიერო ისე პოლიტიკურ წრეებში. ჩვენი ქმედებაა კი ვუპასუხოთ გლობალურ დათბობას, რომელიც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორისაა: კონკრეტული გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ ჩვენი ცნობიერების დონე, საფრთხის მასშტაბების აღქმა, ამინდის პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება.

ვფიქრობთ რომ დასახული პრობლემების გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ბუნების შენარჩუნებას, მსოფლიოსათვის ქართული უნიკალური ბუნების გაცნობას და საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ზრდას ჩვენს ქვეყანაში, რაც საბოლოო ჯამში ტურისტული ბიზნესის განვითარებასა და შემოსავლების ზრდას განაპირობებს.

ეკოლოგიური უსაფრთხოების ყურადღება გამახვილებულია: ჰაერის, წყალმომარაგების სისუფთავეზე, ხმაურის მისაღებ და დასაშვებ დონეზე, ზოგიერთ სახელმწიფოში მოქმედებს ეკოლოგიური სტანდარტები ტურიზმის სფეროში და მათი დამრღვევი პერსონალი თუ ტურისტი მკაცრად ჯარიმდება, მაგალითად ეგვიპტეში სადაც ყოველწლიურად 7 მლნ ტურისტი ჩადის მოქმედებს „Green Star" რომელიც გულისხმობს მინიმალური მოთხოვნილებების შესრულებას სასტუმროების მხრიდან როგორებიცაა წყალზე, ელექტრო ენერგიაზე დანახარჯების შემცირება, ასევე ნარჩენების უტილიზაციაზე, ეს მაგალითები იმედს გვაძლევს რომ შესაძლებელია ტურიზმისა და ეკოლოგიის ერთად თანაარსებობა ისე რომ არ დააზარალებენ ერთმანეთს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მამუკა გოგელია - ტურიზმის გავლენა ბუნებაზე - ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა" #3. - გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი", 2012 წლის მაისი - ივნისი;
2. II საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციის მასალები - ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", გამომცემლობა „უნივერსალი", ბათუმი 2011 წლის 4-5 ივნისი;
3. III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები - მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", გამომცემლობა „უნივერსალი", ბათუმი 2012 წლის 2-3 ივნისი;
4. IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები - ინოვაციები ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი", გამომცემლობა „უნივერსალი", ბათუმი 2013წლის 8-9 ივნისი;
5. Collins - Geography Dictionary, Glasdow: Harpercollins, 2004;
6. Andrew Holden - Environment and Tourism – Second edition – 2008;
7. http://www.greengeorgia.ge/?q=ka/node/75#sthash.xBa7Y0gz.dpuf

CLIMATE CHANGE, ECOTOURISM AND ENVIRONMENT

MAMUKA GOGELIA
Assistant professor of Tourism Faculty at
Batumi Shota Rustaveli State University;
E-mails: mamukagogelia@yahoo.com; m.gogelia@bsu.edu.ge
TORNIKE TABATADZE
Bachelor of Ecology
at Batumi Shota Rustaveli State University
E-mail: tabatadzetoka@mail.ru

Summary

The paper deals with the Climate diversity, which is created by different biodiversity of ecosystem the most of which offer resources for Tourism development. The majority of ecosystems are based on Consistency of climate conditions and as it is defined, The Earth's biodiversity treatment contains care about human prosperity and it is the main concern of Climate change.

The paper also deals with ecotourism development, which is based on the country's ecological conditions. Tourism is developed in regions, where ecological environment is clean. In the case of deforestation and the pollution of rivers Unfavorable environment for tourism is created, experts give information about this case and it is necessary to consider their advices.

It is important all world's citizens to require events for saving environment and ecological development, that will protect their health, will not damage the environment and will improve inhabitants life conditions.